სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030690533575422

14 / მარტი / 2022 წ. **თბილისი #06-42/ო**

„ქალაქ ქუთაისის გენერალური გეგმის კონცეფციის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის პროექტის“ და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

“გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ’’ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N 420 დადაგენილების მე - 6 მუხლის მე -6, მე-7 და მე-8 პუნქტებისა და „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის” დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” და „ს“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ.ლ-საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი), „ქალაქ ქუთაისის გენერალური გეგმის კონცეფციის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის პროექტის“ და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვის მიზნით შეიქმნას საექსპერტო კომისია (შემდგომში -კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნანა გაბრიაძე - გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);
ბ) დალი კეკელიძე - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, (კომისიის მდივანი);
გ) რობიზონ წიკლაური - გარემოს რისკ-ფაქტორების შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);
დ) ლევან ბაიდოშვილი - ალიმენტური, ნოზოკომიური და პარაზიტული დაავადებების სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);
ე) ქეთევან ღამბაშიძე - მონაცემთა ანალიზის და წარდგენის სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);
ვ)ნანა მებონია- ქრონიკული დაავადებების და ტრავმატიზმის სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);
ზ) ხათუნა ფირანიშვილი - იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (კომისიის წევრი);
თ) ნინო დედაბრიშვილი - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წევრი);
ი) ქეთევან ზარიძე - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წევრი).

2. ეთხოვოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს მარინე ბაიდაურს, მონაწილების მიღება ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ საექსპერტო კომისიის მუშაობაში მოწვეული ექსპერტის სტატუსით.

3. დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილ კომისიას 2021 წლის 19 აპრილამდე გენერალურ დირექტორს წარუდგინოს „ქალაქ ქუთაისის გენერალური გეგმის კონცეფციის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის პროექტი“ და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი შემდგომში კანონმდებლობით დადგენილი წესით რეკომენდაციების მომზადების მიზნით.

4. საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად კომისია შეიკრიბება საჭიროებისამებრ (შესაძლებელია ონლაინ სხდომების გამართვა).

5. კომისიის მდივნად განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი დალი კეკელიძე.

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე